ახმეტის მუნიციპალიტეტის საკრებულოს

რიგგარეშე სხდომის

ოქმი №7

ქ. ახმეტა 1 მარტი, 2017 წელი

თავმჯდომარეობდა: გელა ჯუგაშვილი-ახმეტის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარე

სხდომას ესწრებოდნენ: ახმეტის მუნიციპალიტეტის საკრებულოს წევრები: გ. ქიტესაშვილი, ზ. გარსევანიძე, თ. ბოდაველი, თ. წითელაური, დ. მურთაზაშვილი, ა. მაილაშვილი, თ. ყეინიშვილი, რ. ბაღაკაშვილი, გ. უმილაური. გ. მაისურაძე, ზ. ქინქლაძე, ა. მექვევრიშვილი, ნ. აბალოიძე, ბ. ჭიჭიკლიშვილი, ც. გრძელივანიშვილი, მ. ალხანაშვილი, ნ. ღუბიანური, თ. ბორჩაშვილი,

სხდომა გაიხსნა 15 ⁰⁰ საათზე.

საკრებულოს თავმჯდომარემ გახსნა სხდომა და დამსწრე პირებს გააცნო დღის წესრიგი.

დღის წესრიგი

1. ,,ახმეტის მუნიციპალიტეტის 2017 წლის ბიუჯეტის დამტკიცების შესახებ" ახმეტის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2017 წლის 26 იანვრის N2 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე;

/მომხსენებელი - ვანო ნასყიდაშვილი/

2. საკრებულოს წევრის მამუკა ხოლეგაშვილის პირადი განცხადების საფუძველზე უფლებამოსილების შეწყვეტის, ცნობად მიღების შესახებ;

3. ფრაქცია ,,ქართული ოცნების" დაშლის ცნობად მიღების შესახებ;

გელა ჯუგაშვილმა კენჭისყრაზე დააყენა დღის წესრიგი, რომელსაც მხარი სხდომაზე დამსწრე ყველა წევრმა დაუჭირა.

~~მოისმინეს:~~ ,,ახმეტის მუნიციპალიტეტის 2017 წლის ბიუჯეტის დამტკიცების შესახებ" ახმეტის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2017 წლის 26 იანვრის N2 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე;

/მომხსენებელი – ვანო ნასყიდაშვილი/

მომსხენებელმა დამსწრე დეპუტატებს გააცნო საკითხი:

ახმეტის მუნიციპალიტეტის 2017 წლის ბიუჯეტში ცვლილებების პროექტით საშემოსავლო ნაწილის ზრდა გათვალისწინებული არ არის და შეადგენს 7624,6 ათასი ლარს.

გადასახდელები

მუნიციპალიტეტის საკრებულო

კლება (-)

- ხელფასი - 8,0 ათასი ლარი.

- წარმომადგენლობითი ხარჯი -1,0 ათასი ლარი.

- ნორმატიული აქტების გამოცემის ხარჯი -5,0 ათასი ლარი.

გამგეობა

კლება (-)

-ხელფასი -30,0 ათასი ლარი.

-აა(ი)პ კომპლექსური სასპორტო სკოლა -3,0 ათასი ლარი (სუბსიდია).

-აა(ი)პ ზვიადაურის სახ. ძიუდოს სკოლა -18,0 ათასი ლარი (სუბსიდია).

-აა(ი)პ საფეხბურთო სკოლა „ბახტრიონი" -4,0 ათასი ლარი (სუბსიდია).

-აა(ი)პ სამუსიკო სკოლების გაერთიანება -7,0 ათასი ლარი (სუბსიდია).

-აა(ი)პ სოციალური სახლი -20,0 ათასი ლარი (სუბსიდია).

-აა(ი)პ ტყე-პარკის წყაროები -4,0 ათასი ლარი (სუბსიდია).

მატება (+)

-სპორტული ინფრასტრუქტურა + 15,0 ათასი ლარი (კაპიტალური).

-გზა +40,0 ათასი ლარი, მათ შორის ხიდი + 10,0 ლარი (კაპიტალური).

-საბავშვო ბაღები +20,0 ათასი ლარი (კაპიტალური).

-აა(ი)პ სოციალური სახლი +10,0 ათასი ლარი (კაპიტალური).

-წყლის სისტემები +15,0 ათასი ლარი. (კაპიტალური).

საკითხის ირგვლივ შეკითხვები და შენიშვნები რ ყოფილა.

სხდომის თავმჯომარემ კენჭი უყარა საკითხის მიღებას:

17- მომხრე.

2 - წინააღმდეგი.

ახმეტის მუნიციპალიტეტის საკრებულომ მიიღო დადგენილება №5 - „ახმეტის მუნიციპალიტეტის 2017 წლის ბიუჯეტის დამტკიცების შესახებ" ახმეტის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2017 წლის 26 იანვრის N2 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე;

~~მოისმინეს:~~ საკრებულოს წევრის მამუკა ხოლეგაშვილის პირადი განცხადების საფუძველზე უფლებამოსილების შეწყვეტის, ცნობად მიღების შესახებ;

თეიმურაზ ბოდაველმა (იურიდიული კომისიის უხუცესი წევრი) განმარტა, რომ მამუკა ხოლეგაშვილი ტოვებს თანამდებობას პირადი განცხადების საფუძველზე.

სხდომაზე დამსწრე დეპუტატება ცნობად მიიღეს მამუკა ხოლეგაშვილის პირადი განცხადების საფუძველზე უფლებამოსილების შეწყვეტის, ცნობად მიღების შესახებ;

~~მოისმინეს:~~—ფრაქცია „ქართული ოცნების" დაშლის ცნობად მიღების შესახებ;

თეიმურაზ ბოდაველმა თქვა, რომ მამუკა ხოლეგაშვილის წასვლის შემდეგ ფრაქციაში დარჩა 2 წევრი და ის კანონის საფუძველზე დაიშალა.

დღის წესრიგით გათვალისწინებული საკითხების ამოწურვის შემდეგ სხდომის თავმჯდომარემ ჰკითხა დამსწრე საკრებულოს წევრებს ხომ არ სურთ რაიმე წინადადების დაყენება.

სხდომაზე დამსწრე საკრებულოს წევრებს რაიმე წინადადების დაყენების სურვილი არ გამოუთქვამთ.

საკრებულოს სხდომა დაიხურა 15[40] საათზე.

საკრებულოს თავმჯდომარე: 3.ბელა ჯუგაშვილი.